სს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული, ურიკის უვარგისი 1129 ცალი გვერდითი ჩარჩოს, 629 ცალი რესორზედა ძელის, 29 ერთეული ექსპლუატაციისათვის უვარგისი, საბუქსე კვანძებით დაუკომპლექტებელი წყვილთვალის, 122 ერთეული წყვილთვალის თვალისა და 16 ერთეული წყვილთვალის ღერძის რეალიზების მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:
   - ქონების მისამართი- სს "საქართველოს რკინიგზის" სავაგონო დეპოები;
   - საწყისი გასაყიდი ფასი - 997 900 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
   - ბიჯი - 20 000 ლარი;
   - „ბე" - 99 800 ლარი;
2. აუქციონის არსებითი პირობები:
   - სს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული ურიკის უვარგისი 1129 ცალი გვერდითი ჩარჩოს, 629 ცალი რესორზედა ძელის, 29 ერთეული ექსპლუატაციისათვის უვარგისი, საბუქსე კვანძებით დაუკომპლექტებელი წყვილთვალის, 122 ერთეული წყვილთვალის თვალისა და 16 ერთეული წყვილთვალის ღერძის მახასიათებლები (ადგილმდებარეობა, ნომრული სია, ღერძის ტიპი, ღერძის ნომერი, აშენებისა და ფორმირების წლები) წარმოდგენილია დანართის სახით.
   - სარეალიზაციოდ გამოტანილი OCT 24.153.08-78 და OCT 32. 183-2001 სტანდარტების შესაბამისი დეტალები, დამზადებულია მაღალი ხარისხის ფოლადისაგან, მარკით: 20 ГФЛ, 20 ГЛ, 20 ГТЛ, 20ХГНФТЛ, წყვილთვალის ღერძები დამზადებულია მაღალი ხარისხის ფოლადისაგან, მარკით OC. ხოლო წყვილთვალის თვლები ფოლადით - მარკით 2 ან T.
   - შეძენილი ქონება „მყიდველს"გადაეცემა დანართში მითითებულ მისამართებზე, შესაბამისი მიღება-გადაცემის აქტ(ებ)ის შედგენით.
   - დასაშვებია პრეტენდენტების მიერ შესაძენი ქონების ფაქტიური მდგომარეობის ადგილზე დათვალიერება.
- შეძენილი ქონების „მყიდველისთვის" გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად.
   - „მყიდველი" ვალდებულია, რეალიზებული ქონების გადაცემის შესახებ „გამყიდველის" შეტყობინების გაგზავნიდან, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და სს „საქართველოს რკინიგზის" ტერიტორიდან გაიტანოს შეტყობინებაში დაფიქსირებული ქონება, რასთან დაკავშირებითაც, მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება ქონების შენახვისათვის პირგასამტეხლო, კონკრეტულ შემთხვევაში (კონკრეტული შეტყობინების ფარგლებში) ვადაგადაცილებით გასატანი ქონების სარეალიზაციო ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) 0.1%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
   - მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულ აუქციონზე შეძენილი ქონების საკუთარი ხარჯით გატანა (დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტრანსპორტირება).
- ინტერნეტ-აუქციონში გამარჯვებულთან ფორმდება ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, იმ პირობების გათვალისწინებით რომლის შინაარსიც გამოქვეყნებულია ლოტის საინფორმაციო ველში (ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა თან ერთვის).
- ინტერნეტ აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 20 კალენდარული დღე;
-

<u>განსაკუთრებული პირობები:</u>

- ნასყიდობის ხელშეკრულების (თანდართული პროექტის არსებითი პირობების გათვალისწინებით) გაფორმების ვადა: აუქციონის დასრულებიდან - 15 კალენდარული დღის ვადაში;
- ნასყიდობის ფასის „გამყიდველს“ აუნაზღაურდება საავანსო ანგარიშსწორების წესით.
- ხელშეკრულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმების ხარჯებს ფარავს აუქციონში გამარჯვებული.
- შეძენილი ქონების საფასურის (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) გადახდის ვადა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან - 20 კალენდარული დღე;

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>

შეძენილი ქონების დარჩენილი ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) უნდა ჩაირიცხოს სს "საქართველოს რკინიგზის" შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე:

სს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები:

ეროვნულ ვალუტაში - ს/ს "თი ბი სი" ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი 220101850; საიდენთიფიკაციო კოდი №202886010 ანგარიშის ნომერი ა/ა №5913602010000 1, ეროვნულ ვალუტაში.

სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს "საქართველოს რკინიგზაში"

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15.

იურიდიულ საკითხებზე - (+995) 591 19 90 05. Irina.Qarchava@railway.ge

სარეალიზაციო ქონებასთან დაკავშირებით - (+995) 591 19 93 33. Zurab.Janjgava@railway.ge

აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე (+995) 32 2 601 601